

ქართული
არჩევნების
სამსახური

ჩვენს კენ

აღს თუ ავი არ ვუწოდებ,
კარგს სასწელად რა დაფარქო?

საბიჭისა და იუმორის ძეგლები

136
1993/2

ნახ. ვ. კუბიასი



უნიტარული



საქართველო

— იგივეა სამი გოჭი 35 მანეთად. ეწვეთ რუსთაველის პროსპექტზე განლაგებულ ნებისმიერ წიგნის მაღაზიას, იკითხეთ სერგო მიხალკოვი.

— სასწრაფოდ ვცვლი ოთხთახიან კერძო ბინას, გარაყითა და უხემოსავლიანი ბაღით თბილისში, მეტროს სადგურ „ნაძალადევის“ მახლობლად, ასეთსავე ან გაცილებით ნაკლებ ბინაზე აფხაზეთში, ემერის ხეისმური ლაბორატორიის ტერიტორიაზე.

— ვცვლი ახალთახალ სამკაპერიან ფინურ მაცივარს ნებისმიერ ერთკაპერიან მაცივარზე. ფულის დამატება საჭირო არ არის.

— ვიძებ სამართალს, დიოგენის სანთელს წუ შემომთავაზებთ.


— ვცვლი მცირე ბიბლიოთეკას — „საოჯახო წიგნი“, „ჩვენი სამზარეულო“, „ქართული კერძები“, „აღმოსავლური ტკბილეული“, „საჭმელები და მათი კალორიულობა“ და მრავალი სხვ. — პოლ ბრევის ერთ წიგნზე „შემშობობი: სასწაული“.

— ბაიხსნა საქართველოს პარლამენტის დაუსწრებელი განყოფილება. იგი დაკომპლექტდა დეპუტატებით, რომლებიც მუდმივად ან ძალიან ხშირად არიან „მატალოზე“.

— ცხადდება ხელმოწერა მრავალტომეულზე სერიით „ჩვენი დროის გამოჩენილი ადამიანები“. პირველ წიგნს — „არძინა — ჩვენი სიყვარული“ მკითხველი მიიღებს მომავალ წელს. გამოცემა სასაჩუქროა.

ვიპი პეტრიაშვილი

ნახ. ნ. სოდელისა



— სასწრაფოდ რაიმე კომერციული მაღაზია თუ არ გავხსენით, ხაზინა დაგვიცარიელდება!

დაცარიელვებულ რესტორანში მეტრდო-ტელი ოფიციალტან შივიდა, მაგიდასთან ჩაძინებულ სტუმარზე მიუთითა და ჰკითხა:

— ეგ ტიპი აღარ უნდა გააგდო?! ხომ მაინც არაფერს გაიკვეთავს?!

— არავითარ შემთხვევაში! ყოველთვის მიხდის ფულს, როცა კი გავაღვიძებ სოლმე!

პანადელმა ტყის მჭრელმა ჯიბი გადწევი-ტა, ადგილობრივ სადღაპოში პირი გაეპარა. ხელოსანს უამრავი კლიენტი ესია და დაუდევრად პარსავდა. ჯიბის ჯერ მარცხენა ლოყა გაუჭრა, მერე — მარჯვენა, სოლო შემდეგ ნიკაბი და ცხვირიც კი დაუხურა. ჯიბი გმირულად დუმდა. კლიენტის თავშეკავეებით განცვიფრებულმა და-ლაქმა წამოიძახა:

— მითხარი ერთი, ხომ არ მქონია თქვენი წინათ გა-პარსვის პატივი?

— არა, — მიუკო ჯიბიმ, — ხელი სამხერხაოში დაე-კარგე!

პიმრი და პილმერი ავტომობილს მთელი სინქარით მიაქროლებდნენ, ისინი რკინიგზის გადასასვლელს მი-აღწნენ.

— შენ მარჯვნივ ივურე! — უთხრა პიერმა სხაპასხუ-პით თანამგზავრს, — შე კი მარცხნივ დავიწყებ ფურებას, მატარებელს რომ არ შევასკდეთ!

რამდენიმე წამში საშინელი გრუხუნი გაისმა და როცა მეკობრეებმა შანქანის ნამსხვრეუებიდან გამოაღწიეს, პილ-მერმა თქვა:

— საჭირო იყო წინაც გვეცქირა, მაშინ შევამჩნევდით, შლაგბაუმი რომ დაკეტილია!

შარხანა „ცისარტყელაშ“ წლიური გეგმა გადაჭარბებით შეახრულა. მეორე დღეს ყველა მუშამ და მოსამსახურემ უკლებლივ მიიღო ქარხნის ხელმძღვანე-ლობის მისალოცი დეპეშა.

— მაგრამ დეპეშებით რატომ მოგვილოცეს? — გაუ-კვირდა სარატ დიშოვს.

— ეს უდავოდ დირექტორის ცოლის იდეაა! — გაშო-თქვა თავისი მოსაზრება ბრიგადირმა პონკემა.

— ის ხომ საქალაქო ფოსტამტს განაგებს, — შენიშნა დიშოვმა, — და ჩვენს ქარხანასთან არავითარი დამოკი-დეპელება არა აქვს?!

— აქვს, აქვს, — მიუგო ბრიგადირმა. — ჩვენ რომ არა, მისალოცი დეპეშების გეგმა ჩაუუარდებოდათ!

საბახალწლოდ შვიცარიელი ალიასკაში ჩავიდა. ვიღმა ამაყად ჰკითხა:

— ვინასავთ სადმე ამდენი თოვლი?

- ეს რა თოვლია, - მიუგო მან, - აი, ჩვენთან რომ დაიწყებს თოვას, ნინბით ვხვეტავთ ხოლმე შინ მისასვლელ გზას.

- ეს კი სასტუმროა, - აუღელვებლად განაგრძო გიღმა ახსნა.

- რაო?! - აღშფოთდა შვეიცარიელი, - მე ამ ერთხართულიან ციცქნა სახლში არ ვიცხოვრებ!

- უკაცრავად, ეს ციცქნა სახლი კი არა, „გრანდ ოტელის“ მეთექვსმეტე სართულია! - მიუგო დიმილით გიღმა.

* * *

მამამ საახალწლოდ ქალაქში წავიდა ვაჟიშვილის ხანახავად, რომელიც უნივერსიტეტში სწავლობდა. დილაადრიან მიაგნო მისი ბინის მისამართს, ზარი დარეკა და სახლის პატრონს ჰკითხა:

- თუ შეიძლება, მითხარით, აქ ცხოვრობს სტუდენტი ფლენერი?

- კი, კი, - გამოსძახა მან, - ჯერჯერობით მანდვე დააწვინეთ და მერე მე თვითონვე შემოვიტან შინ!

* * *

ღამით ორი ჯენტლმენი შეხვდა ერთმანეთს დიდი ქალაქის გარეუბანში.

- მომიტევეთ, სერ, ახლომანლო პოლიციელი ხომ არ დაგინახავთ?

- არა!

- გმადლობთ! მაშ, კეთილი ინებეთ და თქვენი საფულე ვადმოძეცით!

* * *

რესტორანში კლიენტმა ოფიციანტს მიმართა:

- ბატონო კოლევა, როცა ჩემს მაგიდას ასეთი ჭუჭყიანი სუფრა აფარია, გვერდს ვუცვლი ხოლმე.

- საინტერესოა, თქვენ განა სამგვერდიანი სუფრები გაქვთ?!

* * *

- სერ, ჩემმა ცოლმა მითხრა, რომ ახალი წლიდან ხელფასის მომატება ვთხოვოთ!

- კარგი, ამ საკითხზე ჩემს ცოლს მოველაპარაკებო! გერმანულიდან თარგმნა შოთა ამირანაშვილი

ღია ბარათი საქართველოს
პარლამენტის სპიკარს
ბატონ მახსტანგ გოგუაძეს

რაის გული გაქვს, ვახტანგო,
რა ნერვებ გიძლებს ნეტარა?
სადამდე უნდა იხადო
ევეთი შიძიმე ბეგარა?!

ბევრს ხელი უდევს ხმალზედა, -
რამდენ ერთს უნდა ეფერო,
გამძლეობაში ჭაბუკო,
მოთმინებაში ბებერო!..

შატელს საფინზენო რომ ნახო,
შეგშურდებ, გაგიკვირდება: -
არ გეძულს, არ ვლანძღავთ
ერთმანეთს,
არცრა საიკერი გეჭირდება.

ღმერთმა გვაშოროს ფიზონში
ლაფფობით თავმოწონება,
სათქმელს მას ვაცლით, ვისაცა
უჭრის ჭკუა და გონება...

ღეპუტატობა განგებამ
ზოგისთვის მიტომ ინება,
თუთიფუშივით იძახოს
მხოლოდ რუსების გინება...

აღარც მეთაურს ინდობენ,
ჭირს უმატებენ ჭირზედა,
ჰკადრებენ არ საკადრებსა,
რაც მოადგებათ პირზედა.

ზოგი კი უფრო შორს მიდის,
გულს გესლის ხანჯრით უსერავს.
კაცი გინთიათ ხანთლადა,
თქვენ ჩახაქრობად უბერავთ?!

ვთქვით, ვერ გაგვიძლოს, ჩაგვიქრეს,
ემაკდენ ღრენა-მღვერაში,
ნათელში გიჭირთ გაგნება,
რა გზას გაიგნებთ ბნელაში?!

რად გავიწყდებათ, ვველანი
ხართ საქართველოს ნაწილი,
და ვველამ ერთზე იფიქრეთ:
- არ გავახართ მაცილი!..

შოთა პარაბული
(ვაზბუგი)



უსიტყვოდ ნახ. ბ. ჩუბაშვილისა



33

— მაშაო, საქართველოს პარლამენტის წევრია, ყოველ-
ხელში თუ სამოთხეში?!
— გაანხია, რომელი ფრაქციიდანაა!

ნახ. ვ. კუთიათი




საპარლამენტო პარტიები

ზოგი ალთას, ზოგი ბადთას...
დილიდანვე წყნებით ხავთასს,
შეაფარა შუბი ხალთას,
ვევლაფერი ჩაუხლართავს.
როგორც გინდა ვინმემ აქოს,
არ სჯობია ხართი შაქოს.
ჭკვის სწავლება უფარბ კაკოს,
ჭკუა არსად დავებოვოს!
სურს ხაჭებზე ზღლი ედოს,
ნაყვარება თელი თედოს,
საგარეთ საქმეებზე
თელი მხოლოდ თედოს ენდოს
რუსთა მოდერნიზებულსა
იმპერიას ადევს ვეტო:
წერეთელმა დავვიბარა =
ერთად ვერ ვბოვთ ორივე ტო!

სხვა ირავლაც მოგვერ ბრახობს
და მის სიბრძნეს ტუქსვა ვასდევს.
სხვას ვის ნახავ, ურთიერთულად
ნიკოლოზს და ლენინს ჰგავდეს?
ჭავჭავაძის პარტიიდან
შიკოფონს და ცისუერ უკრანს
ველა რისხვით მიამოვრებს,
თუ ჩხუიძე-წარბეშ-შეგრაგს
ჯიბიდან რომ ზელს არ იღებს.
მელაშვილია ირავლია
სჯობს სხვას ზელი შეაფროს,
თუ რად ებეშ, ვინ აქლია
ასლანი რომ უფვარს დათოს,
არავინ ხდის საქამათოდ,
რომ მოსდგება დინჯად, ფართოდ,
თვითონ სჯერა, ჭკენ ვა ვართობს.

ვაჟა ებებს ჩვენთვის რაგამს,
ენა ვაგვიავუანდაო.
რად ვაგვინდიო ადამიად,
რად არ მოველ ვაჟადო!
რეაქცია შეენის ბავშვის,
ამბიცია კი აქვს მახვშის.
მოგუგუნე სუბბათაშვილს,
მოთუხთუხე სუბბათაშვილს
აქსიომის მტკიცებობას
თუ გხურს დარჩე ბარი-ბარში,
ისიც უნდა შეუღანხნო
მხოლოდ ქართლის-დარბაზვილს.
საკმაოა მოენგნოთ,
ვინმეს მართებს ვინმეს სესხი,
აკივლდება ბიბლიაზე,
აკივლდება ლევენ შესხი.
აზრის მოწინააღმდეგე
ასი ივოს ამ ათასი,
შაინც ერთად დგანან რინგზე
რუსის ჯარი და ნათაძე.
ის კი ვიცი, მართლის მოქმელი
მხოლოდ მტერს და ურვას იძენს.
მაგრამ მკ რა? ეს ლექსებიც
დაბრალდება შურვანიძეს!

აკივიტერი



უსიტყვოდ

დღეს თბილისელთა დღე უმრავლესობა ფეხით დადიან და მათ შორის მეც. ეს, რაღა თქმა უნდა, იმის გამო, რომ ავტობუსები უბუნზინობის გამო ხაერთოდ აღარ დადიან, ტროლეიბუსებში თუნდაც ცალ ფეხზე გასაჩერებელი აღვილი კიბეებზეც შეუძლებელია გამოძებნო და მეტროში ჩასვლით თუ ჩახვედი, ვინ იცის, რადისა მოგიწევს მაღლა ამოსვლა და დღის სინათლის ხილვა. ასე რომ, ყველაზე საიშვებო ახლა ფეხით სიარულია. ერთის მხრივ, ეს ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა, მით უმეტეს, თუ წონაში დაკლება გნებავთ, პირდაპირ მისწრებაა. ეს არის მხოლოდ ფეხსაცმელმა თუ გაგიძლოთ! არადა, მისი ფასი ახლა ყველას კარგად მოგეხსენებათ, ჩექმაზე ხომ... ლაპარაკიც შედგებოდა. მის შესაძენად დღეს ათი თვის ხელფასიც არ გეყოფათ და ათ თვეს გატარებთ თუ არა, ეს კიდევ საკითხავია!

ამას წინათ, ერთ კომერციულ მაღაზიაში სრულიად ჩვეულებრივ ჩექმას 45.000 ეწერა ფასი. რა თქმა უნდა, უფრო ძვირფასებიც არსებობს! ჩემი ხელფასი 3.380 კუპონი ვაზლავთ ქალაქზე, ხელზე დაახლოებით 2.500-ს თუ ავიღებ. ასე რომ, მე ხელ ცოტა 20 თვის ხელფასი დამჭირდება ეს რომ ვიყიდო, — ვფიქრობდი ჩემთვის, თანაც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არც ვჭამ, არც ვსვამ, არც გადასახადებს გადავიხდი, არც სხვა ტანსაცმელზე ვიოცნებებ, რომ აღარაფერი ვთქვა საპონზე, ასანთზე, სანთელზე და სხვა ასეთზე. მთავარი დამავიწყდა, კუპონს მიიღებენ?

შევეუბრებდი მიუწვდომელ ჩექმას და რატომღაც ეს ლექსი გამახსენდა:

„ფორმამ შეგვახვედრა,
ფასებმა გაგვეყარა,
მსურდა შემეძინა,
არ მაღმობს აღარა.
ახლა ხომ სურვილი
მარტოვა არ კმარა,
ფასი უმაღლესი,
ხელფასი პატარა.
ფორმამ შეგვახვედრა,
ფასებმა გაგვეყარა,
მე ჩექმის შეძენა
არ მაღმობს, აღარა.“


ლიდი მაინურაჰე-მორგოშია

მთავარი რედაქტორი
ჭაბუკ ბოლქვაძე.

სარედაქციო კოლეგია:
მუხტაოზ აბაშიძე, ვახუშა
აბრეჯიანი, ნომადი ბარათა-
ძე, ტყეშელაშვილი თვარამი, ჯემალ
ლოლაშვილი (მხატვარ-რედაქ-
ტორი), ვივი ლომიძე, ნო-
ბარ მელნიკოვი, რევაზ მი-
შველიძე, ვივი პეტრიაშვი-
ლი, ალექსანდრე სამსონია,
ზევან სიხარულიძე (მთავა-
რი რედაქტორის მოადგილე,
ტექნიკური დირექტორი),
მხატვარ-ქველიძე, ლერი
ჩხატარაიანი, ჩანსუდ ჩარკვი-
ანი, თამაზ წიფიციანი, ალექ-
სანდრე ჯორჯიაშვილი. მტკნი-
შვილი რედაქტორი ვიორჯი
დონდუა: გადაეცა ასაწყო-
ბაჟი 07-06-93 წ., ხელმო-
წერილია დასაბეჭდად 29.
06-93 წ., ჭალაღის ზომა
60x90 სმ, ფიზიკური ნა-
ბეჭდი ფურცელი 1, სააღ-
რისებრო საფარით მოჭრილი თა-
ბახი 1. სტაროდელოს ეურ-
ჩხელ-ვაჭურების გამომცემ-
ლობა „სამშობლოს“ სტამ-
ბა: შეეკა 08 873. ტირაჟი
21.500. ფურნალი გამოდის
თვეში ორჯერ. ფურნალი
რეგისტრირებულია საქარ-
თველოს რესპუბლიკის იუ-
სტიციის სამინისტროში.
რეგისტრაციის № 0606.

რედაქციის მისამართი:
880008, თბილისი-8, რუს-
თაველის პრ. № 42.

ტელეფონები: მთავარი
რედაქტორის — 99-55-54;
მთავარი რედაქტორის მო-
ადგილის — გენერალური
დირექტორის — 93-19-42;
მხატვარ-რედაქტორის —
99-02-38; განყოფილებათა
გამგეების — 93-10-78,
93-49-32.



ნახ. ჯ. ლოლუაძე
თემა შ. სოსელიძისა

— მერცხლებო, წელსაც მივიღებთ უფასოდ, მაგრამ მომავალ გაზაფხულზე დოლარების გარეშე არ დამენახოთ!